ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №93

ქ. თბილისი 7 დეკემბერი 2015წ

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია" (შემდგომში „შემკვეთი") მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით ერთის მხრივ და შპს „ტელეკომპანია თბილისი" (შემდგომში „შემსრულებელი") მისი გენერალური დირექტორის გურამ ჩიგოგიძის სახით მეორის მხრივ შევთანხმდით შემდეგზე:

I. საქმიანობის საგანი

1.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას განათავსოს შპს "ტელეკომპანია თბილისი"-ს ეთერში შემკვეთის მიერ მოწოდებული სარეკლამო მასალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. (CPV კოდი: 79341400).

II. მხარეთა ვალდებულებანი

2.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მოამზადოს და განათავსოს გადაცემაში **"ნიუს ბოქსი"** შემკვეთის სარეკლამო სიუჟეტი. გადაცემის გასვლის დრო 11.12.2015წ (19:30სთ), განმეორებით 12.12.2015წ . (9:00; 12:00 15:00 და 18:00 საათზე)

III. ანგარიშსწორება

3.1. სარეკლამო მომსახურების ღირებულება შეადგენს 720 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.3. სახეკლამო მომსახურების თანხა გადახდილ იქნება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

3.4. შემკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს – ანა იასეშვილი.

IV. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. შემსრულებელი არ აგებს პასუხს შემკვეთის მიერ მოწოდებული სარეკლამო მასალის სისწორეზე.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო პროდუქცია ექვემდებარება სავალდებულო სერთიფიკაციას ან ლიცენზირებას შემკვეთი ვალდებულია რეკლამის ეთერში გასვლამდე გადასცეს შემსრულებელის სერთიფიკატისა და ლიცენზიის სათანადოდ შესრულებული ასლი.

4.3. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს საურავის გადახდა 4.4 პუნქტის შესაბამისად

4.4. შემკვეთი, შეკვეთილ საეთერო დროზე სრულიად უარის ან ნაწილობრივი უარის შემთხვევაში იხდის საურავს გამოუყენებლად დარჩენილი საეთერო დროის ღირებულების 25%-ის ოდენობით.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური მიზეზების გამო შემკვეთის სარეკლამო მასალა არ განთავსდა შემსრულებლის ეთერში, შემსრულებელი ვალდებულია შემკვეთს შეუთანხმოს ახალი გრაფიკი სარეკლამო მასალების ეთერში განთავსების შესახებ.

4.6. თუ ახალი გრაფიკი არ არის მისაღები შემკვეთისათვის, შემსრულებელი იხდის საურავს გამოუყენებლად დარჩენილი საეთერო დროის ღირებულების ოდენობით +25%. ფორს-მაჟორული ვითარების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადა, გადაიწევს აღნიშნული ვითარების მოქმედების ვადით.

V. დამატებითი პირობები

5.1. ხელშეკრულების მოქმედებისას მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ შეიტანონ მასში ცვლილებები წერილობითი სახით. აგრეთვე მხარეებს შეუძლიათ შეცვალონ თანდართული გრაფიკი ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე

5.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

5.3. დავის მოლაპარაკების გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში მას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ანდა მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი ამავე არბიტრაჟის მიერ დანიშნული ერთი არბიტრის მონაწილეობით;

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ შემკვეთი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შეკვეთის ღირებულების გადახდის ვადას და შემსრულებელი დავალიანების დაკისრების მიზნით მიმართავს სასამართლოს (ან კერძო არბიტრაჟს), შემსრულებელი უფლებამოსილია, ძირითად დავალიანებასთან ერთად შემკვეთს დაარიცხოს პირგასამტეხლო შეკვეთის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების ვადის დარღვევიდან დავალიანების სრულად დაფარვამდე

5.5. დავის სასამართლო წესით განხილვის შემთხვევაში,პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის შესაბამისად.

5.6. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის, ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

VI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 11 დეკემბრიდან.

ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

VII. მხარეთა რეკვიზიტები

შემკვეთი

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
სს „ლიბერთი ბანკი" LBRTGE22
ანგარიშის ნომერი
GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

შემსრულებელი

შპს „ტელეკომპანია თბილისი"
ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #2
საქართველოს ბანკი, კოდი: BAGAGE22
ს/კ 202063818
ანგარიშის ნომერი
GE77BG0000000327766401

გენერალური დირექტორი
გურამ ჩიგოგიძე